სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080160176608018

№ 3205

25 / დეკემბერი / 2018 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 21 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს SMP180002922 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, 2019 წლისათვის პროგრამა „ორის-მენეჯერის“ ლიცენზიის განახლების მომსახურების (CPV-48900000 - სხვადასხვა სახის პროგრამული პაკეტები და კომპიუტერული სისტემები) შესყიდვას, ღირებულებით, 53771 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, „ორის-მენეჯერი“-ს პროგრამა სამინისტროში დაინერგა 2009 წლიდან, ამასთან, თანამშრომლებმა აღნიშნულ პროგრამაზე გაიარეს ტრეინინგი. იგი მორგებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაზე. მასში ხორციელდება სრული საბიუჯეტო პროცესის ასახვა (სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შეტანა, ხელშეკრულებების, ვალდებულებებისა და საგადასახდო მოთხოვნების დარეგისტრირება). ახალი საბუღალტრო პროგრამის დანერგვა სამინისტროში დაკავშირებული იქნება, როგორც დროის, ისე ფინანსების გაუთვალისწინებელ ხარჯებთან, რადგან სჭირო გახდება სრული ბაზის გადატანა ახალ პროგრამაში და კადრების გადამზადება, რაც გამოიწვევს სამუშაო პროცესის შეფერხებას.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, საქპატენტის მიერ გაცემული № 17305 ლიცენზიის თანახმად, პროგრამა „ორის-მენეჯერის“ მფლობელი და განმკარგველი არის შპს „ორისი“, შესაბამისად წარმოადგენს ექსკლუზიურ მიმწოდებელს და მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესასყიდი საქონლის მიწოდებას.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქპატენტის მიერ გაცემული № 17305 ლიცენზიის თანახმად, პროგრამა „ორის-მენეჯერის“ მფლობელი და განმკარგველი არის შპს „ორისი“, შესაბამისად წარმოადგენს ექსკლუზიურ მიმწოდებელს და მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესასყიდი საქონლის მიწოდებას.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ სამუშაოს შესრულებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე პირის/ ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს SMP180002922 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ლევან რაზმაძე